საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/75882 **06 / დეკემბერი / 2014 წ.**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქუჩა N3

ბატონო გიორგი,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2014 წლის 5 ნოემბრის NOPD11/14-085 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს მთავარი პროკურატურა პერიოდულად ახორციელებს შემოსული საჩივარ-განცხადებების ანალიზს. დღეისათვის განხორციელებულია მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შემოსული საჩივარ-განცხადებების ანალიზი, შესაბამისად ამ პერიოდში საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიების დაწყების მოთხოვნით შემოვიდა - 2,787 საჩივარ/განცხადება, რომელიც შეეხებოდა პოლიციის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ ცემა-წამებას, მუქარასა და იძულებას.

2013 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 48 თანამშრომლის მიმართ.

2013 წელს პატიმართა მიმართ განხორციელებული წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ბრალდებით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 28 თანამშრომლის მიმართ, სრულიად გამამართლებელი განაჩენი დადგა სასჯელაღსრულების დაწესებულების 1 თანამშრომლის მიმართ. სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ერთი პირის მიმართ.

აქვე, გაცნობებთ, რომ განცხადებაში დასმულ სახვა საკითხებზე სტატისტიკური ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი